



ზ. ისაყვი-38

ბიუროკრატის განსაზირო

— ქვესადგურია? საკოლმეურნეო მინდვრები მომეცით! ოაო?! მინდვრებში ტელეფონი არაა? რას ამბობი მაშ თესვას როგორ ახომამოაწიოლო?



იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ფეხი-ტეხი თავის კაბინეტში იჯდა და უზრუნველად ყავას მიირთმევდა. ამ დროს სამდივნოში ერთერთ უცხო სახელმწიფოს კორესპოდენტი გაჩნდა.

- ვინ გნებავთ? — შეეკითხნენ მას.
- ელჩის ნახვა მინდა.
- ფეხი-ტეხისი?
- დიახ, ელჩის!
- ბატონი ფეხი-ტეხო თორმეტ საათამდე არავის ღებულობს..
- კორესპოდენტი ვარ. თხოვეთ!

ტელეფონის ზარი აწკარუნდა.
— კორესპოდენტი? ნუ გააჩერებთ! შემოუშვით!— მოესმა მღივანს ტელეფონის ყურმილიდან ფეხი-ტეხოს დამშვიდებული ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ კორესპოდენტი ფეხი-ტეხოს საწერ მაგიდასთან იჯდა.

— ჩემი ხალხის აღშფოთება უსაზღვროა. იგი ღელავს, დრტვინავს!..

— ნება მომეცით ჩავიწერო!
— დიახ, დიახ. მე მინდა საქვეყნოდ განვაცხადო ჩემი ხალხის აღშფოთება! იგი ღელავს, დრტვინავს!..

— რა მიზეზით?
— უსამართლობით! ჯერ არნახული უსამართლობით! ჩემი ხალხი არასოდეს არ შეურიგდება ამ ცილისწამებას!..

— ვინ არის ცილისწამებელი?
— ერთა ლიგა! წითელი პრესა! მოსკოვის აგენტები!.. ჩემი ხალხის აღშფოთება უსაზღვროა როგორც ოკეანე... ჩვენი ხალხი ამას ვერ შეურიგდება!

— რას, ბატონო ფეხი-ტეხო?
— ცილისწამებას! აშკარა ცილისწამებას! მოსკოვის აგენტები ხმებს ავრცელებენ, თითქო ჩვენ ჩინეთში ომს ვაწარმოებთ... ერთა ლიგაც ამ აზრს იზიარებს... ლამის ქვეყანა დაარწმუნონ... ჩვენ ვერ ავიტანთ... ჭორებს ავრცელებენ ვითომ ჩვენ ჩინეთში ბარბაროსულ მოქმედებას ვეწევი. თითქოს ხალხს ეზოცავთ, თითქოს ომი გვაქვს, თითქოს ჩინეთის დაპყრობა გვინდა.

- მაშ, თქვენ...
- ჩვენ სულ სხვა მიზანი გვამოქმედებს. ჩვენ თავის ღლეში აზრადაც არ მოგვსვლია მეზობელ ქვეყნის დაპყრობა.
- მაშ რა მიზანს ისახავს ჩინეთში თქვენი სარდლობა?
- ჩვენი მიზანი მარტივია: ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ვაიძულოთ ჩინეთი, რომ მან ძირფესვიანად შესცვალოს იაპონიასთან დამოკიდებულება. ამასთან ერთად ჩვენს მოქმედებას უდიდესი თავაზიანობა ახასიათებს.
- მაშ მხოლოდ ეს არის თქვენი მიზანი;
- დიახ, დიახ. ეს არის!.. გთხოვთ ჩაიწეროთ ჩემი ნათქვამი. გთხოვთ სიტყვა სიტყვით ჩაიწეროთ: ჩვენ გვინდა მხოლოდ ვაიძულოთ ჩინეთი, რომ მან ძირფესვიანად შესცვალოს დამოკიდებულება ამომავალ მზის ქვეყანასთან...

კორესპოდენტი ფეხი-ტეხოს სიტყვებს უცვლელად სწერდა და თან საკუთარ კომენტარებს უმატებდა.

ნანკინის ხელისუფლება ჯიუტობდა. იგი შეუძლებლად აცხადებდა ტრადიციულ ხაზს ამომავალ მზის ქვეყნისადმი, ექნებოდა შეუზღუდავლებს, ადგენდა კომისიებს, გზავნიდა რწმუნებულებს იაპონიასთან „ჩამოვარდნილი კომფლიქტების“ შეთანხმების გზით მოსაგვარებლად. ამავე დროს იაპონელი ინტერვენტები, რომელთა მიზანი იყო „იძულებულყოფით ჩინეთი, რომ მას ძირფესვიანად შეეცვალა დამოკიდებულება იაპონიისადმი,“ „უდიდესი თავაზიანობით“ უშენდნენ თვითმფრინავებიდან ყუმბარებს ჩინეთის მშვიდობიან მოსახლეობას. „უდიდესი თავაზიანობით“ ანადგურებდნენ სოფლებს და ქალაქებს, „უდიდესი თავაზიანობით“ აპატიმრებდნენ იაპონელთაში ლოიალურ დამოკიდებულებაში, ექვემდებარებულ მოქალაქეებს, „უდიდესი თავაზიანობით“ მიყავდათ მუშები დასახვრეტად. „უდიდესი თავაზიანობით“ ამწკრივებდნენ დასახვრეტად კედელთან შანხაელ ექიმებს, მასწავლებლებს, სტუდენტებს და პროფესორებს“.

— ვინ, ჩინეთი? რას დაგვაკლებს! საზეიმო მარშით ავიღებთ! — ამბობდა ფეხი-ტეხო იაპონელთა სამხედრო შტაბში გამართულ თათბირზე.

— წინააღმდეგობას გაგვიწევს.

— ვერ გაბედავს.

— ვინ იცის. იქნებ უომრად დაგვენდეს.

— ჩვენც სწორედ მაგის იმედი უნდა ვიქონიოთ და მაგ ხაზს უნდა დავაწვეთ.

— თუ არ დაგვენდა, ბრძოლით უნდა დავიკავოთ.

— მერყეობს არ გვენდება.

— დაგვენდება, დავსცხოთ და დაგვენდება. ჩვენ საქვეყნოდ უნდა გავაცხადოთ, რომ ჩვენ ომი არ გვინდა. ჩვენ გვინდა მხოლოდ ვაიძულოთ ჩინეთი...

— ძირფესვიანად შესცვალოს დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან — დაამთავრა სხვების მიერ დაწყებული ფრაზა ფეხი-ტეხო.

ამინდი შეიცვალა. იაპონელთა შტაბში ჩინეთის არმიების რა-

- დიო სადგურიდან გულშემზარავი ამბები მოქონდა:
- ჩეჯიანში განადგურებულია იაპონელების არმია!
- იაპონელებმა ამ ბრძოლაში დაპყროვეს 20.000 ჯარისკაცი.
- 20.000 შაშხანა!
- 77 ქვემეხი!
- ტყვიამფრქვევები,
- ყუმბარები!
- სულ იაპონელთა არმიებს ჩინელებმა ომის დაწყებიდან დაუპყროვეს 300.000 ჯარისკაცი!..
- ალლო! ალლო! ისმინეთ! ისმინეთ! ისიანში ჩინეთის არმიის მიერ გარსემმორტყმულია 10.000 იაპონელი ჯარისკაცი!
- ალლო! ალლო! ისმინეთ! ისმინეთ!

იაპონიის საგარეო სამინისტროს წარმომადგენლის ფეხი-ტეხოს კაბინეტში კვლავ ჩვენი ნაცნობი უცხო სახელმწიფოს კორესპოდენ-

(საბავაშვლო არაკ-მართალი)

ივლიანე ცირკულიარს უცდიდა.

— არ მოსულა?

— არ მოსულა. — უპასუხა მას ფოსტის უფროსმა დამიანემ.

— ჰო და უცირკულიაროთ მე ვერავითარ კამბანას ვერ დავიწყებ. მოდი ერთი კამათელი გავაგოროთ.

— შაში ბეში, კამათელო!

— წყვილი!

— სე იაქე!

ნარდის თამაშში დაალამა ივლიანემ.

დილით:

— ხომ არ მოსულა ცირკულიარი?

— არა. — უპასუხებს დამიანე.

წამოდი აბა ერთი კურდღელზე გავიაროთ. ჯექ! აბრეკ! რექს!

სამი შეძებარი ჰყავს ივლიანეს. იანვრიდან თებერვლამდე, თებერვლიდან მარტამდე კურდღელს დასდევდა.

— ამხანაგო ივლიანე. მეზობელმა კოლექტივებმა ხენა დაიწყეს. მთელი რაიონი ხნავს, ჩვენ ჩამოვრჩით სამარცხვინოთ, — გააფრთხილეს იგი ბრიგადირებმა.

— ჩამოვრჩით! ჩამოვრჩით! დაგიჩემებიათ კაცო ეს ჩამორჩენა. სანამ ცირკულიარი არ მომივა რა ხენა უნდა დავიწყო. — გაჯავრდა ივლიანე. წაველ ერთი, კიდევ ვიკითხავ ფოსტაში.

წავიდა ივლიანე, იკითხა ამბავი და შემდეგ ფოსტის გამგე დამიანესთან ერთად სასადილოში შევიდა.

— წამოდი კაცო, კერძო სამიკიტნო ხომ არ არის, — კოპერატიულია... დალია ივლიანემ და ამღერდა:

„რაიონიდან წამოსულა ჩქარი მატარებელი, მას მოჰყვება ცირკულიარი, ჩემი გამხარებელი“...

დაითრო ივლიანე. გამოვიდა, ცხენზე შეჯდა და გაისეირნა. შორს თვალი მოჰკრა ჯგუფს, რომელიც საყანე მიწას სწმენდა. გააჰქენა ცხენი.

— კი მარა, უცირკულიაროდ დაიწყეთ?..

— ჯერ ასე იყოს, — ირონიით უპასუხეს ბრიგადირებმა, — ეს მაინც რაა, საყანეს ვწმენდო.

ივლიანემ ცხენი გამოაბრუნა:

„გასწმინდე გულო,

გასწმინდე სულო, ვარალო,

გასწმინდე ჩემო

შეყვარებულო, თარალო...“

მღეროდა იგი და მიათოხარიკებდა ლურჯას.

ერთი კვირა ისე გავიდა, რომ სანადიროთ წასული ივლიანე შინ არ დაბრუნებულა. დაბრუნებისას მან კიდევ იქეიფა და როცა სოფელს ჩამოუარა მინდორზე ტრაქტორისტი ქალები დაინახა: გამალებით ხნავდნენ მიწას. ივლიანეს მოეწონა ქალები. ამღერდა:

„გოგო, ეგ რა შემოგიკრავს, ვაი.

სახე დაგიმშვენებია, ვაი...“

არ გაკოცო არ იქნება, ვაი, ვაი,

ავი დამიჩემებია, ვაი...“

ახლოს მივიდა:

— ჰმ! დაიწყეთ ხენა? — შეეკითხა ივლიანე.

— როგორც ხედავთ.

— უცირკულიაროთ?

— ჯერ ასე იყოს... ხენას რა ცირკულიარი უნდა? — უპასუხეს.

— კი მარა, მთელი კოლექტივი რომ შეერილხართ, ქორწილია თუ?!

— ვისაც ესმის, ქორწილზე მეტია... ხელს ნუ გვიშლით...

— კარგი... ხანით უცირკულიაროთ, ვნახოთ, რა გამოვა...

და ივლიანემ ცხენი გამოაბრუნა.

— ჯექ! აბრეკ! რექს!

მიიმღეროდა ივლიანე. მას მართლა ქორწილი გაახსენდა:

„ერთმა კაცმა ქორწილი ქნა,

ჩიმჩაირა, ჩია.

ფხვდამწვარი წიწილითა,

კუკუ...“

თავი მაყრუღს ეუბნება

დიმ დაირა, დაი.

კატა კვდება სიცილითა,

კუკუ...“

სამი დღე ისვენებდა ნანადირევი ივლიანე. მეოთხე დღეს დამიანესთან მივიდა, ცირკულიარი მოიკითხა და შემდეგ ნარდის თამაშს შეუდგა.

— დუშაში! შაში-ბეში, შაშვის ბეჭი.. დუ-დუბარა, დუბრი, დუბრინსკი პოლკ. პატარა. კინკილა. სე. სესიკო...

სალამოს სასადილოში შევიდა:

„ვატატაია, ტაია, ტაია,

ცირკულიარი რაია, რაია,

ვატატაია, ტაია, ტაია,

ტაი.

ცირკულიარი რაია, რაია,

შემიყვარდა პაშა, რაია,

ვატატაია, ტაია, ტაია, ტაი.“

დილამდე ტატიობდა ივლიანე, ხოლო დილით თავისი ლურჯათი ისევ შინსკენ გაისეირნა. ცივმა სიომ გამოაფხიზლა და როცა მინდორზე გაფანტული კოლმეურნეები დაინახა, ახლოს მივიდა:

— რას შვრებით, ყმაწვილებო?

— არაფერს... ისე, ვთესავთ.

— კი მარა, უცირკულიაროთ თუ ცირკულიარით?

— არა, სათესი მანქანებით...

— ვატატაია, ტაია, ტაია... თესეთ, თესეთ... ვნახავ, რაც გამოგივათ უცირკულიაროთ... ნახვამდის... ჯექ! აბრეკ! რექს!

—:—

კოლექტივი უკვე ამთავრებდა თესვას. საერთო კრება მოიწვიეს და თესვის მიმდინარეობის შედეგები შეაჯამეს. ივლიანემ შემთხვევით გაიგო კრების ამბავი და ფიცხლავ მიაგლო ცხენი გამგეობის შენობასთან.

— დაიწყეთ. უჩემოთ დაიწყეთ კრება. რა გაჩქარებდათ ამხანაგებო. ავერ ცირკულიარი მოვიდოდა და მერეც მოვასწრებდით...

— მოითმინეთ, ხელს ნუ გვიშლით. — მიავყირეს მას აქეთ იქიდან.

— სწორედ კარგ დროს მობრძანდით პატრეცემულო ივლიანე. — მიმართა მას კრების თავმჯდომარემ — ტრაქტორისტმა ქალიშვილმა, — ახლა ვამთავრებდით თქვენი საკითხის გარჩევას. მაშასადამე, ამხანაგებო, — მიმართა მან კრებას, — შემოსულია წინადადება: ივლიანე ახრახახიძე მოიხსნას კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან, გაირიცხოს კოლმეურნეობიდან და მისი საქმე გადაეცეს სათანადო ორგანოებს.

წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად. ფავეი შეიკავა ერთმა: ეს იყო ივლიანე, რომელიც ჩუმად გამოიპარა კრებიდან და საჩივრელად დამიანესთან გაიქცა.

— დამიანე, მიშველე...

— გიშველე, გიშველე. — მიაძახა დამიანემ, — კაცო, ცირკულიარი ერთი თვის წინათ მოსულა: ახლა ამ ერთი თვის ფოსტას ვათვალისწინებდი და შიგ ალმოვაჩინე. აჰა. მალარიჩი შენზეა... ვატა ტაია, ტაია ტაია..

— დაიქცა შენი ოჯახი... შხამად შეგვრგოს მალარიჩებიც... ეგ ცირკულიარიც... ეგ ვატატაიაც... აღმოხდა ივლიანეს.

ტი იჯდა.

— ვიმეორებ ჩვენი მიზანი მარტოა... — ამბობდა ფეხი-ტეხი.

— ვიცი, ვიცი! თქვენ „ომს არ აწარმოებთ“...

— დიალ, ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ... ჩვენ გვინდა მხოლოდ ვაიძულოთ ჩინეთი, რომ მათ ძირფესვიანად შესცვალონ დამოკიდებულება...

— იაპონიისადმი! მესმის მაგრამ თქვენი მიზანი ხომ უკვე მიღწეულია: ჩინელებმა უკვე ძირფესვიანად შესცვალეს დამოკიდებულება იაპონიისადმი. — მოუჭრა კორესპოდენტმა.

ერთმანეთს
გისწორებენ



ინფლისელი დიპლომატი: სულ ღერა-ღერა უნდა დააგლიჯო ბურღლა მაგ ჩიტუნას, წინ ვლობება თავისზე უფროსს; ფრენის საშუალებას არ აძლევს!

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატებში სენატში არ არსებობს რეგლამენტი. ორატორს შეუძლია ილაპარაკოს რამდენიც სურს და რაზედაც სურს. ამ უფლებას ზოგიერთი სენატორები ხშირად ბოროტად იყენებენ. რომ მოაბეზრონ თავი სენატს და აიძულონ ის მოხსნას დღის წესრიგიდან ესა თუ ის საკითხი.

სენატორმა ლაქლაქერმა შესწყვიტა კევის ლეჟვა და ყურები სცქვიტა, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— ღრმად პატივცემულნო ჯენტლმენებო... ეხლა ვადავდივართ იმ კანონ-პროექტის განხილვაზე, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა ფერმერებისა და ზანგ-მუშების შორის. თქვენ, ალბათ, უკვე გაეცანით ამ პროექტს. ეხლა ნება მიბოძეთ კენჭი უყარო...

ლაქლაქერი წამოდგა და სიტყვა მოითხოვა. ლაქლაქერი თვით მსხვილი ფერმერი იყო. მას დავალებული ჰქონდა ყოველივე ზომა ეხმარა რომ კანონ-პროექტი არ დაემტკიცებია სენატს.

— ჯენტლმენებო, — დაიწყო ლაქლაქერმა, — მე, როგორც პატივცემულ სენატორებს მოეხსენება, ვარ ამდაამ შტატის წარმომადგენელი. ჩვენ შტატი, სხვა შტატებთან შორის, განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. ის მდებარეობს...

სენატის პირველ სხდომაზე ენაწელიანმა ლაქლაქერმა დაასრულა თავისი შტატის გეოგრაფიული მიმოხილვა და ის იყო უნდა გადასულიყო მის ისტორიულ-ეკონომიურ-კულტურულ მდგომარეობის გაშუქებაზე, რომ თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს ლაქლაქერი დიდის გულმოდგინებით განაგრძობდა თავის სიტყვას თავისი შტატის ყოველმხრივი დახასიათების შემდეგ, ლაქლაქერმა მტკიცედ განაცხადა:

— ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ კანონპროექტი მიუღებელია ჩვენი ფერმერებისათვის....

კრებამ თავისუფლად ამოისუნთქა და ნიშნად კმაყოფილებისა იმის გამო, რომ ლაქლაქერმა სიტყვა დაამთავრა, ტაშით დააჯილდოვა ორატორი. მაგრამ ლაქლაქერი არც კი ფიქრობდა სიტყვის დამთავრებას. მცირე პაუზის შემდეგ, რომელიც მან მოანდომა სამი ბუტერბროდის შექმას და შუბლზე ოფლის მოწმენდას, დაუღალავმა ორატორმა განაგრძო:

— ჯენტლმენებო, მე იმას მოგახსენებდით, რომ კანონპროექტი ყოველად მიუღებელია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტული ვაზეთები იმავე აზრისა არიან. ნება მომეცით გამოვაქვეყნო ჩვენი ღრმად პატივცემული პრესის აზრი.

და სენატორი შეუდგა კითხვას. წაიკითხა ვიღაც პროფესორის სტატია სათაურით „ზანგები, როგორც მუშა-ხელი“, შემდეგ მისტერ სპირტონის მონოგრაფია „ფერმერების სმა-ჭამა“, მისტერ ჯამინდის ნარკვევი „ცემა-ტყევა, როგორც წამახალისებელი საშუალება“, მისტერ კუჭერის ფელეტონი „ზანგის მოთხოვნილება“ და სხვა მრავალი „ლირსშესანიშნავი“ ლიტერატურული ნაწარმოები, ამ მეტად საინტერესო კითხვას, რომელსაც ცარიელი დარბაზი სულგანაბული უსმენდა, ლაქლაქერმა სამი მორიგი სხდომა მოანდომა.

შემდეგ სხდომაზე ლაქლაქერი გამოცხადდა თავისი პირადი მდივნის თანხლებით.

— კიდევ რამდენიმე სიტყვა, ჯენტლმენებო, თუ თავი არ შეგაწყინეთ... თქვენი თანხმობით მე გამოვაქვეყნებ ეხლა იმ პატრიოტთა სიას, რომელნიც კატეგორიულად მოითხოვენ კანონპროექტის უარყოფას. მისტერ ჯონ, — მიმართა ლაქლაქერმა მდივანს, — გთხოვთ წაიკითხოთ.

მისტერ ჯონი წარსდგა სენატის წინაშე, ამოიღო მსუქანი პორტფელიდან სქელი წიგნი და დაიწყო კითხვა:

- აბანდერი...
- აბასტერი...
- აბბოტი...
- აბბიუსი...

ეს იყო რომელიღაც სატელეფონო კამპანიის აბონენტთა სია. სქელი წიგნი ნელნელა იფურცლებოდა. დარბაზი დაიცალა, მაგრამ მისტერ ჯონი დინჯად განაგრძობდა:

- ბაროუ...
- ბარსი...
- ბარტელო...
- ბარტური...

პატრიოტთა სიის კითხვა დასრულდა მეხუთმეტე სხდომაზე. ლაქლაქერი ისევ ტრიბუნასთან იდგა და თავის სიტყვის განაგრძობდა.

— როგორც ხედავთ, ღირსეულნო ჯენტლმენებო, კანონპროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე საზოგადოების დიდი ნაწილი. მაშასადამე...

მოთმინებიდან გამოსულმა თავმჯდომარემ ბოდიში მოითხოვა ორატორის წინაშე და შეეკითხა კრებას — ხომ არ ისურვებ პატივცემული სენატი, შექმნილი მდგომარეობის გამო, მოხსნას დღის წესრიგიდან კანონპროექტის განხილვა.

წესრიგისათვის სიტყვა აიღო კანონპროექტის ერთერთმა მომხრემ. ისარგებლა რა თავისი უფლებით, ამ დიდათ პატივცემულმა ორატორმა, ყოველი რეგლამენტის გარეშე, ხუთი შემდგომი სხდომის განმავლობაში, დიდის ოსტატობით დასაბუთა კანონპროექტის მიღების აუცილებლობა, რისთვისაც მან მოიყვანა ციტატები საღმრთო სჯულიდან, სამზარეულო წიგნიდან და ბირჟის უწყებებიდან. თავისი სიტყვა ორატორმა დააბოლოვა მოთხოვნით, რათა კამათი გაგრძელებულიყო და დემონსტრატიულად მიატოვა დარბაზი, მოსაზრებით:

— დაე, ილაყბონ...

მისტერ ლაქლაქერს, რომელსაც ასე უხეშად შეაწყვეტინეს სიტყვა, ისევ მიეცა ლაპარაკის საშუალება.

— აქ გამოსულმა ორატორმა, — განაცხადა მან, — მოითხოვა კამათის გაგრძელება. კეთილი და პატიოსანი. ნება მოგვეცით განვაგრძოთ. თავისთავად ცხადია, რომ კანონპროექტი მიუღებელია. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ერთი მხრივ ფერმერების ინტერესებთან, მეორე მხრივ ზანგების ინტერესებთან. რას წარმოადგენენ ფერმები. აი მაგალითად პატივცემული ფერმერი ჩარლზ გონები. მე კარგად ვიცნობ მას. ის დაიბადა ჯორჯიას შტატში. მისი წინაპრები...

სენატორმა დაახასიათა რაღაც ოციოდე ფერმერი, რასაც მოანდომა 7 სხდომა, რის შემდეგ 11 სხდომის განმავლობაში წაიკითხა 8 ვეებერთელა წიგნი ზანგების შესახებ...

მე-38-ე სხდომაზე სენატორი ისევ ჯანსაღად და მხნეთ გამოიყურებოდა.

— ერთი რამ კიდევ უნდა აღვნიშნო. სახელდობრ ის, რომ ეზლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა სრულებით არ მოითხოვს ასეთი ტლანქი ზომების მიღებას ფერმერების წინააღმდეგ და მათ გაღიზიანებას. როგორც მოგეხსენებათ იაპონიაში ამჟამად...

მე-43 სხდომაზე სენატის გასავათებულმა უმრავლესობამ მოითხოვა კამათის შეწყვეტა და კანონპროექტის განხილვის გადადება განუსაზღვრელ დროისათვის.

როგორც გამოიანგარიშეს პატივცემულმა სენატორმა ლაქლაქერმა თავისი ვრცელი სიტყვის წარმოთქმის დროს გაიარა ტრიბუნაზე 140 კილომეტრი, შეჭამა 400 ბუტერბროდი და დალია 75 ბოთლი წყალი.

კამათიც ამას ჰქვია... ტყუილად კი არ ამბობენ ამერიკის ზოგიერთ სენატორზე: ამას ტყავის ფილტვები აქვსო.

ტარიელის, ავთანდილისა და ნურადინ ფრიდონისა, ოდეს მათ შამსა სტუდენტობისა განიზრახეს სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა.

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ არაფერია ნათქვამი ტარიელის, ავთანდილისა და ნურადინ მეფის სტუდენტობის შესახებ, მაგრამ ქაჯეთის ციხის ასაღებად მათი თათბირი გვაფიქრებინებს, რომ მათ სრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ განუზრახავთ სამედიცინო ინსტიტუტში შესვლა, მაგრამ წინ დიდი დაბრკოლება გადაეღობათ, რადგან:

„საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტში სტუდენტებად არიან 35-50 წლის ასაკის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სხვადასხვა უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი და აქვთ თავის სპეციალობაში მუშაობის დიდი სტაჟი. ამავე დროს ახალგაზრდა სტუდენტებს ძალიან უძნელდებათ ინსტიტუტში მოწყობა.“ (იხ. ჟურ. „ნიანგში“ შემოსული წერილი ახალგაზრდა სტუდენტისა).

დაინახეს — ინსტიტუტში სტუდენტები წვერჭალარა, შევერცხლილი თმებით ქაღინი, ვის სახენი დაიღარა. ზოგნი იყვნენ ქიმიკოსი, ინჟინერი, აგრონომი. თქვენს თუ — „შესვლად ინსტიტუტში გადაგვხდება დიდი ომი“. ავთანდილი ჰხუმრობს ფრიდონს: „ყველა არის შენი კბილა, შენი ტოლი და ჰასაკის, — ჩვენ კი ვდგევართ აქა ტყვილა. ჩვენ აქ არვინ არ მიგვიღებს, ვით ჭაბუკებს ოცი წლისა, ალბათ ყველა უნდა იყოს ბებ-ბაბუას დიდი ხნისა.“

ამ ხუმრობის შემდეგ, როგორც სჩანს ვამართეს თათბირი. მოგვყავს „ვეფხისტყაოსნიდან“ ამ თათბირის შემოკლებული ტექსტი:

ყოფლნი კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების; თუ იღუმალ არ შეუვალთ, ცხადი შებმა არ ეგების... თქვეს: „ვითათბიროთ, ვითა ვთქვათ, აწ გამორჩევა ძნელია; ასი ათასსა აჯობებს თუ გამორჩევით მქნელია.“

რაკი ასეთი დაბრკოლება გადაეღობათ წინ, მათ თათბირი გაუმართავთ, თუ როგორ მოგებრებებით შიგ შესვლა.

ნურადინ ფრიდონი ასეთ რჩევას იძლეოდა: პირდაპირ ომი არ ძალ გვაქვს, რა უამი საკვებარია, ათას წელს ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დავვიხმან კარია.



— ეს რაა? მამალს ჰყიდი? — არა, მოიშალა, ორი საათით აღრე ყივის ყოველ ღამე!..

აბჯრითა გავლა არა მჩანს, ჭირად გატანა ფარისა, შიგან ჩავტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა.

ფრიდონის ეს წინადადება უარჰყვეს ტარიელმა და ავთანდილმა. ამ უკანასკნელმა, როგორც სჩანს, შემდეგი წინადადება წამოაყენა:

მე მარტოდ შევალ ვაჭრულად და კარგად შევეტყუები; მალვით ჩავიცვამ აბჯარსა, გავჩნდები, გავეცრუები..

არც ეს წინადადება მიუღიათ. მოსალოდნელია ფრიდონი დაეჭვდა: რაკი თითონ შევა, ვაი თუ ჩვენზე აღარ იზრუნოს ავთანდილმა და ასე სთქვას: „ბევრი ვეცადე თქვენთვისა ძლივს გავაკეთე ჩემთვისა“.

ბევრი რომ არ გავავრძელოთ, დიდი გაჭირებისა და დავიდარაბის გადატანის შემდეგ ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ინსტიტუტში შესულან.

ინსტიტუტში მათ მოწყობას დიდი გაკვირვება გამოუწვევია მცხოვან სტუდენტებში.

ნახეს უცხო ყმანი ვინმე სხდნენ იმათთან პარტის პირსა და ერთმანეთს ეკითხოდნენ განაკვირნი განაკვირსა: „ვინ არიან? რა ხალხია?! აქ რა უნდათ მათ ნეტავი?! როგორ მოხვდნენ? ვინ მოაწყო? აქ ვინა ჰყავთ ნათესავი?“

ზმუკი.

გაბაასება

თეკლემ უთხრა მაკრინესო:
შენი საქმე მაკვირვებსო,




რეკორდი რომ დაამყარე —
ქმართან ცხოვრობ სამ კვირესო.

საგაზაფხულო მზადება
ტარდება სოფელ ქვალონში,



მალაზიებმა მიიღო
სათბურები და კალოში.

დიღმელი კაცი მოსტყვამდა
თავის გასაჭირზედაო:




„სოიუზტრანსის“ ავტობუსი
შემომიხტა ვირზედაო.

კარგი საათი ვიყიდე
ვენაცვალე ჯაჭვშია,




ოცდაცხრა საათს მუშაობს
ოცდაოთხ საათშია.

აბანოში რისთვის შევალ
რად დავხარჯო ტყვილად ფული,



ერთიც ვნახოთ შეწყდეს წყალი
და შიგ დავრჩი გასაპნული.

გამგეს სონია მოსწყინდა
ახლა შეუჩნდა მაროსა...



„იგიც წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბაღნაროსა“ —

— გახლავარ ლექსის დამწერი,
ზირველ პოეტად ვითვლები.
შოთას ლექსი რომ არ იყოს
შოთაზე მეტი ვიქნები.
— აფერუმ შენს ნიჭს პოეტო,
ყოველდღე ღვინით ითვრები.
ლექსს დასწერ, პროზა გამოგდის,
შორს გაგირბიან რითმები.

— დრამატურგობა დავიწყე,
შექსპირთან დავიბუდეო,
მოლიერს დავემბაბიჭე,
გავსჭერ სიძნელის ზღუდეო.
— სად შეიძინე კალამი
შე საცოდავო, მრუდეო:
შენს კომედიას უყურე,
ტირილით გავიგუდეო.

— შეგქმენი კინო-სურათი
რეჟისორების ჭირათა.
ჩვენს კინომრეწვეში უჩემოდ
საქმე არა ღირს ჩირადა.
— ასეთი კინო-სურათი
სხვაგან შეგხვდება ძვირად,
ნახავ და „მოიხიბლები“
გადაიქცევი ძილათა.

კუჭიკო.

როცა გავა გაზაფხული (სოფ. ქორეთი, ჭიათურის რ.)

აქ კოლმეურნეობაში
უნდა გითხრათ თუ რა ხდება,
თავმჯდომარე, გაზაფხულის
ჩესვის საქმეს „მაგრად“ ხვდება.

სამეურნეო იარაღს
უფროხილდებზ ისე კარგად,
„მოვლის“ მიზნით შორ დაჰყარა
სამუდამოდ დასაკარგად.

ოთხმოცდახუთი ურემი
უპატრონოდ წყალში ღებება,
კავები და სახნისები
ფრთხილად უანგქვემ ინახება.

გამწვევ ძალას კვებისაგან
ისე კარგად უჩანს ფერდი,
რომ ორმოცი ხარისაგან
გამოდგება მხოლოდ ერთი.

თავმჯდომარე ივანაშვილს
გულში ეს აქვს განზრახული,
თესვას მაშინ შეუდგება
როცა გავა გაზაფხული.

კანტალია.



ნიანბოს ესკრდა

არჩია, მიხველათ!

ზოგიერთი შემოკმახუ ბუთიანს ადვილს ითავებს სამსუბოს.

მომკმენი:
არჩილი
აგრაფინა — არჩილის ცოლი
ნიწელი — შვილები
თამაზი
სტენა: თთხა, ნიწელი სწავლობს ფანდურზე დაკვრას.
ნიწული (მეღვრის) —
წუხელ თურმე ქურბა-ბაცუცხს კეხს ზინა ვაუღლიათ.
(შემოდის თამაზი)

თამაზი (მეღვრის)
— კეხვადა და მისი ქმარიც ტახტიანთ წაუღლიათ...
ნიწული — თამაზ, ნუ მიაწი.
თამაზი — შვილებე სახეში, ჩიავაყურე საეჭვიში.
ნიწული — (განაგრძობს)
დღეს კრებაზე კრისტიფლორზე წარუგზე ზოლი ააღწენს.

თამაზი —
მოსმინებს, დაადგინებს,
გარცხებს და ადადგინებს...
ნიწული — დღის გაფიცებ მაჩოოვე, ცოტა დრო მაქვს.
თამაზი — თბო, ერთი ამის დაიხედეთ, მე კი ბევრი დრო მაქვს? მომეკი უანდერი, მე მთელი ჰოვინა მაქვს დასაწაფელი.

ნიწული — სად იყავ აქამდე?
თამაზი — შენ გგონია მტერ საეჭვი არ მქონდა? პიესის ვამაზღვებდი.
ნიწული — ჩვენ ხვალ გავქვს სახეშიო სადავო.
თამაზი — ჩვენ დღეს, მტერ და იცი შესავალ სიტყვის რომ ვაზობა? (შეღებება მაგადლა) ამხანაგებო... ჩვენი სკოლის დამაწი წიგნი წარმოადგინდა ჩვენბა... ზო-წიას პიესის სათაური დამაწიწულ...

ნიწული — (ივინას) რეჟისორს დამხედეთ, პიესის სათაური დააწიწულ...
თამაზი — დის დააწიწულა? მე? არაფერიც! მიმიტო ჩემი ფანტური ჩება... (გამოსტატება)
ნიწული — ხომ აგრი, კარგი! დავკრები, არ გინდა ველოსიპედი გათხოვო პარადისათვის?

თამაზი — ვესუმბო (აწუღის ფანდურს) აბა, კარად ისწავლე. თურმე ჯღლიო ყოველი, რადიოშიც ვამდურებენ... შენ ეს მთხარა ამხანაგო დო, სად არის ამხანაგი მამარჩიო, პიჯას დაამხარდა, გათხოვებო, მე რეჟისორს ვთამაზობ...
ნიწული —

ნიწული — წყლან დარეკა სამსახურიდან თქვა, რომ შემოვიღის.
თამაზი — რომეო სამსახურიდან: ფაბრიკიდან?
ნიწული — არა, ვაფერტორტრანების ტრესტიდან...
თამაზი — ამხანაგი დღეებში?
ნიწული — არც დღეებში მოსულა...
თამაზი — მამ, რა გინა, დედა კახასა და ტრულუსს დამარდა, რომ არ მოვიდნენ, ხომ ჩიავებოდა სადამო?
(შემოდის არჩილი)

არჩილი — არიქა მიწველეთ... გამაჯრუბათ ძვირფასო ამხანაგებო! როგორ ხართ? რასა იქით, სად არის ამხანაგი აგრაფინა ჯიმშერის ასული?
ნიწული — დედა საქრამიო თთხარჩიანა წესულა...
არჩილი — არიქა მიწველეთ, ძვირფასო და საყვარელი ამხანაგებო, მე ბევრი დრო არა მაქვს, 15 წუთის შემდეგ ვემამე სამსახურში მივლივარ მუსსათავისუფლო... და საწერილო მაქვამთ რაზე.

თამაზი — რომელ ტრამპეში ამხ. მამარჩიო, შეგიბიბო?
არჩილი — არა, ცვეტნიტორგო...
თამაზი — ამხანაგო მამარჩიო, დღეს ჩვენ სადლიო არა გვაქვს, დღისა ავიანდებოდა და დავაგინა, ვაგდოაგვეტი შენიფის, რომ სასადილოში ვესადღენა...

არჩილი — მერე? რატომ არ დაბრუნებთ?
ნიწული — ჩვენ ბრ ვიცოლით სად იმყოფებოდით...
არჩილი — პო, მართალია, არ იცოდებოდა... კარგი, ძალიან კარგი. მე შემინდა ზოგეველ სამსახურში კარგატრესტში არ დამდევიანებოდა, მაგრამ რატი ასე ჩინებულდ მოწყობა, სადილობას მერეც მოვარებო, თუქცა მტერ კარგატრესტში მივალ ახალად დღის შესათავისებლო... ყოველ შემთხვევაში ვისადილებ ხვალ. მე ჩინა და არ დროს თთვისუფალი ვქვებები, აბა, ვადავით აგრაფინა ჯიმშერის ასული, რომ ხვალ ვსადილო.

თამაზი — სამწუხაროდ ამხანაგო მამარჩიო, ხვალ დედას მთელი დღე არ ეძლება, ექსკუსიანზე მიიან!
არჩილი — კარგი, ძალიან კარგი, ვისადილებ ზეგ! ყოველ შემთხვევასთვის რომ არ დამაწიწულეს, ჩიავერი (ამოიღებს უხის წიგნას და სწრის) თორცა ზეგ საწერილო თათხარის მაქვს... დრო დამჩრება? (ავტის ხმა), არიქა მიწველეთო... სურვილი დამაწიწულა, რომ მანქანა მელოდება. ნახვამდის, ნახვამდის ამხანაგებო... (დააბრუნებს ვაქსელს).

თამაზი — შენ უკვე მიღისარ ამხანაგო მამარჩიო? პიჯას რომ დამაბრდი ვაბიხიებო?
არჩილი — პო მართალია, თქვენ წარმოადგენა ვაქვთ?... როდისთვის გინდა?
თამაზი — დღეს გენერალური რეპეტიცია მაქვს...
არჩილი — კარგი, ძალიან კარგი... (ჩხლის პიჯასს) არ დამხიოთ. აბა ამხანაგებო, მე წესულდვარ. მიმოკითხეთ დღეობეწენი — აგრაფინა ჯიმშერის ასული... პო, მართალია... არიქა, დღეს აქ შემოვიღოს

ერთი ამხანაგი საწერიო საეჭვი, სთხოვეთ დამვიღოს.
ნიწული — შენ როდის დაბრუნდები?
არჩილი — მე? შემოვივლი... ამ დღეებში.
ნიწული — მე სკოლაში უნდა წავიდო რეპეტიციაზე.
არჩილი — მამ ამხანაგი თამაზი ვადსაცემს.
თამაზი — მეც რეპეტიციაზე უნდა წავიდო მამრეში.
არჩილი — მამ დღეს უთხარით და ის ვადსაცემს. (ავტის).

თამაზი — მივიღებ სახეში, ჩიავაყურე საქმეში.
(შემობრუნდა არჩილი)
არჩილი — არიქა მიწველეთ, ის დამაწიწულა... რა გინა... (ჩიავიღებდა) რა დამაწიწულა და. ასე შემართება ხოლმე მუდამ, როდესაც არ ჩიავიწრა... ყოველ შემთხვევაში ჩიავიწრა რომ არ დამაწიწულეს (ამოიწიწულეს). პო მართალია ახლა გამახსენდა, არიქა მიწველეთ, დღეობეწენი, ვადავითო, რომ მე, საცდელი მინდა, არ ვთხოვე თუქცა არ მაქვინა... ტელეფონში შემატყობინოს სად შეინახა!
ნიწული — სად დავიწერე ამხანაგო მამილო?
არჩილი — სამიდან თთხამდე კარატრესტში, თთხიდან ექვსამდე — მამარჩი, ექვსიდან შვიდამდე — თთხამდე ავაჭვამე, შვიდიდან სტრაალ — ცვეტნიტორგო, ცხრიდან ათამდე — ნიტრეტორგო, ათიდან თერთმეტამდე — სააფხაველოში, თერთმეტამდე — თორმეტის ნახევრამდე ვაფერტორტრანების ტრესტში, თორმეტის ნახევრის ნახევრამდე — მუის კომბიტტოში... მამ ასე... (მანქანის ხმა) არიქა მიწველეთ! (ავტისას კარებში აგრაფინა შეეფიქება, ერამანეთს ვერ ამჩნევს, არჩილი ვაღს).

აგრაფინა — არიქა მიწველეთ... მეჩქარება... გამაჯრუბათ ამხანაგებო, თქვენ როგორ ვეტყობათ, უკვე ვისადილებო...
თამაზი — შენ დავაწიწულ ამხანაგო დღეობეწენი, რომ სადილი არ ვაგვიმზადებია დღეს!
აგრაფინა — პო მართალია. ეგ არ გამახსენებია... ამხანაგი მამაოვენი არ მოსულა?
ნიწული — შემოვიბრინა, სადილი უნდა, მაგრამ უნდალით წვიდა, დავაბიზა საცვლებში ვამომივხარისო...
აგრაფინა — ამხანაგებო, მე ცოტა დრო მაქვს, ვაღილი და არიქა მიწველეთ, ვაღილი და ერბოვერცოში მოვუვლო (ელსმინის ხარი) არიქა, მიდო...
თამაზი — ალლო! დაბო! შენ ვახლოთ... (ავრაფინას) დიდილო!

არჩილი — გისმინო! მე ვინ... ამ წუთში... (შეღვრებს) ამხანაგებო, არიქა მიწველეთ, მეხმება ფაბრიკიდან... ის ვსაკვეტი ვაქვსკეს სამსახურთან არის, ვსადილებო მამამაწენის.
ნიწული — მე რეპეტიციაზე უნდა წავიდო.
თამაზი — მეც რეპეტიცია მაქვს.
აგრაფინა — მამ რა გინა?
თამაზი — გუფხავენ ფანტურ დიდილო.

აგრაფინა — საწერილო, საწერილო... ნიწული — მამ მავიღებ დამსტოვე! (ელსმინის ხარი)
თამაზი — ალლო! (ავრაფინას) ვთხოვენ დედილო.
აგრაფინა — არიქა მიწველეთი ვისმინეთი გისმინეთ. დო-ბა, არაფრის ვთხოვთის ვსლა არ შემინდა, ფაბრიკაში მივიღებო... ხვალ ხვალ გზონი თთვისუფალი ვარ (ავტისას ამოიღებს) დილით რატემი, შემდეგ ავტოლიბინა დონის პირველზე... კეთილი ამხანაგო მამარჩიო, რომ მე, საცდელი მინდა, არ ვთხოვე თუქცა არ მაქვინა... ტელეფონში შემატყობინოს სად შეინახა!
ნიწული — სად დავიწერე ამხანაგო მამილო?
არჩილი — სამიდან თთხამდე კარატრესტში, თთხიდან ექვსამდე — მამარჩი, ექვსიდან შვიდამდე — თთხამდე ავაჭვამე, შვიდიდან სტრაალ — ცვეტნიტორგო, ცხრიდან ათამდე — ნიტრეტორგო, ათიდან თერთმეტამდე — სააფხაველოში, თერთმეტამდე — თორმეტის ნახევრამდე ვაფერტორტრანების ტრესტში, თორმეტის ნახევრის ნახევრამდე — მუის კომბიტტოში... მამ ასე... (მანქანის ხმა) არიქა მიწველეთ! (ავტისას კარებში აგრაფინა შეეფიქება, ერამანეთს ვერ ამჩნევს, არჩილი ვაღს).

ნიანბოს ლაქსიონი

ბაბიუსი — ძლიერი ქარიშხალი, რომელიც იცხს ინტელითს იჯანუხებ და ჩინების ზღაპრს მის ქროლოას განსაჯერებთ კარგად იცნობენ აბაზონი ინტერვენტი და ტაიფუნს საუცხოოდ ჰმამავენ ჩინეთის არმიებოსავან შემობრუნებისას უკან დახვეს დროს.




ბაბი — თადვეტერის უნარი სხვებთან დამაკიდებლად, ან ვარეუ პირობებთან წვირებში: უკანასკნელად ვამომდღევერე ტატკერე მოქმედება შორის ვანსაფრთხილი რიგინალორა ბრიტანეთის ლოსი თადვეტის ტაქტი ვუღის მუჭონის დროს.



ბრაბედი — დრამატული ნაწარმოების ერთიობი დარეკი, მისი ნახვა თბილისში შეიძლება როგორც, მაგალითად, მარჯანშივილის სახელობის თეატრში, აგრეთვე ამავე თეატრის წინ, თორესის ქუჩაზე, ავტობუსის ვაიარებულად ადლოვო. ტრადიციის გმირები ბოლშევი აქ ასრულებენ თეითან მუხავერტი, რომლებსთვისაც მიმაგალ ავტობუსის კარები მუდამ დავტალია ავტობუს უქმნალობის გამო. ასეთი ხასიათის ტრადიციის კენანს ვახსნავ ითხიერებთ და იგი მართლი თადვეტი თბილისის ავტობუსანის მუშაკებისათვის.




ბელაფონი — ხმის შორეულ მნიშვნელო ვადამეტი აპარატო ოლოფონტე წყვილებით „ლოლოლო“ განმარტებით, სიტყვა ტრეფონი წარმოშობადა ტელეფონს; ტელეფონ სოფლია შესტრადის რაიონში, ქალაქ ზესტაფონის მახლობლად, რაც პატრიცემულ მკვლევარის ვანმარტებით აღტყურებს იმას, რომ ტელეფონი ვამოგონებულა ვადა, ტელეფონის მკვლევთა მერე, ის მოვლენა, თავგაზიბისათვის ვამარტებთა, მე წიწვეს ზესტაფონის მკვლევართა შორის და ზესტაფონელი ერთ პიესის ბელაფონელი აქვე ტელეფონის ჯიბრზე ხმის ვადამეტი წარმის ნაველო დღინთი სურე ცანოსი შორეულ მნიშვნელო ვადამეტი აპარატის გამოგონებია.



(დიდი — ჯიხაიში, სამტრედიის რ.)

კლუბი გვერდი ბოსელს გავდა,
დანგრეული, ძველი,
შევ ტბა იდგა და სცენაზე
ასვლა იყო ძნელი.

მაგრამ მაინც კმაყოფილი
ვიყავით ერთ რამით...
ბაყაყების სიმფონია
შორს ისმოდა ღამით.



სოფლის საბჭოს თავმჯდომარე
ვაშაკიძე გვარად,
ბაყაყების დირიჟორად
კვლავ დარჩება მარად.

კლუბი ქარმა დაგვინგრა
ალარ შერჩა ჭერი,
ეხლა ღია ესტრადიდან
ჭრელი ძროხა მღერის.

ნიაღვარმა მთლად წალეკა
კედელი თუ კარი,
ნიაზგოჯან, ვინც ღირსია
მას ჩანგალი ჰკარი.

სორი

ვერის ბაზართან
დგანან ეტლები,
კაცს იქ ადვილად
არ მიესვლებს:
ირგვლივ შმორია...
არეა სველი,
იქვე ღვინოს სმენ,
მასა ითვრების...
აგურებისგან
სუფრა იშლებს,
მუხლამდის ლაფში
ხალხი იფლებს,
მხოლოდ მთვრალი ბრბო,
რომ აიშლებს,
თუმც ჩახა-ჩუხი
არ ისმის ხმლების,
რბილთა გლეჯაა
და მსხვრევა ძვლების,
ნეტა აქ წესი
ვის ეკითხების?
აქ ეს ზღვა ხალხი
რომ ითითხნების,
რად ისმის ღვინო,
ან რად ისხმების.
ან ამ ღრეობის,
ამ გულფიცხების
ხელთ გაქაჩვა თუ
შეკვრა ფეხების
ვის შეუძლია,
ვის შეეხების?..

გრ. ზალატოი.

ხახამი და ხანძარი

მუხრანში ორმოციოდე მოსახლე ებრა-
ელია. ისინი ხნავენ, სთესენ, ხელოსნობენ.
ასე გასინჯეთ, მათ საკუთარი ხახამიც ჰყავთ
(მათებური მღვდელია) მ. ელუაშვილი, რო-
მელიც მოსეს კანონზე ნათლავს, მარხავს,
სწირავს, შინაურ ცხოველებსა და ფრინვე-
ლებს ჰკლავს, ერთი სიტყვით, ხელმძღვანე-
ლობს და განაგებს ამ 40 მოსახლის თითქ-
მის მთელ „კულტურულ“ ყოფაცხოვრებას.
იგივე უქადაგებს და უკრძალავს მოსახლე-
ობას შაბათის უქმობას: „ხელი არ გაანძრი-
ოთ, სახლს რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, წვე-
თი წყალის დასხმა არ გაბედოთ, თუ არ გინ-
დათ, რომ აღონაი — იელოვას საშინელი
რისხვა დაიმსახუროთ“. — უქადაგებს ჩალს
ელუაშვილი.

და ებრაელობაც სასტიკად იცავს ელუა-
შვილის მიერ შთავონებულ მამა-პაპურ წეს-
ადათებს. შაბათობით ისინი მართლაც ხელს
არ ანძრევენ. ასე გასინჯეთ, სუფრასაც არ
შლიან თვითონ. ამისთვის ყოველ ოჯახს
ყავს დაჭირავებული ქართველი ბავშვები და
ისინი შლიან სუფრას მათ ოჯახებში შაბა-
თობით.

საკითხავი და გასაკვირია: თუ სუფრის
გაშლა ცოდვა და უკანონობაა, ჰამა რატომ-
ღა არ ეკრძალებათ მათ?

ნუთუ ეს კითხვა არავის დაუსვამს ელუა-
შვილისათვის? მაგრამ შენი მტერია, რაც
ამას წინათ ელუაშვილს საქმე წაეკიდა. უეც-
რად დაინახა მან, რომ შაბათ დილით ცეცხ-
ლი გაუჩნდა მეზობელს.

— ხელის მიკარება არავინ გაბედოს! —
გაისმა ხახამ ელუაშვილის მკაცრი ბრძანება.

— მოხუც მორდოხას სძინავს სახლში, რა
ეჭნათ, დაიწვას ცეცხლში ცოცხალი კაცი? —
შეეკითხნენ ხახამს ჭირისუფლები, ცეცხლ-
წაქიდებული სახლის პატრონები.

— დაიწვას... — გაისმა იელოვას... უკაც-
რავად, ელუაშვილის სასტიკი და უღმობე-
ლი ბრძანება.

— მოხუცი მორდოხა მართლაც დაიწვა,
მეზობლის მთელ სარჩო-საბადებელთან ერ-
თად, ხოლო ელუაშვილი სფინქსივით მის-
ჩურებოდა ყოველივე ამას, თითქოს უდარა-
ჯებს, კანონი არავინ დაარღვიოს, ხელი არ
გაანძრიონო.

მაგრამ აი ცეცხლი გაძლიერდა, პირის ქარ-
მაც დაუბერა, ხანძრის ალმა ელუაშვილის
სახლისკენ იწყო გრძელგრძელი ენების ბზე-
კა და უცბად... ჰოი, საშინელებავ აკი ცეც-
ხლი ელუაშვილის სახლსაც მოედო...

— მიშველეთ, ვიწვი, დამეხმარეთ ქალმა
და კაცმა, აბა, დაფაცურდით, სწრაფად დი-

ატრიალეთ ხელები და გადაარჩინეთ დილუბ-
ვას თქვენი ერთადერთი ხახამი — გაისმა
ელუაშვილის გულშემზარხვი ტრიალი...
მართლმორწმუნე ებრაელებს გაოცებული
იდგა ირგვლივ. იგი სფინქსივით მისჩურებო-
და თავის ხახამს, რომელიც წაკარწახებუ-
ლი მივარდნილიყო აღმოდებულ სახლს და
ფრხილითა და კბილებით ებრძოდა წითელ
ფაფარაშლილი სტიქიას.

— გაგიყებულა ჩვენი ხახამი...
— მორდოხას ცოდვას უწევია მაგ საცო-
დავისთვის...

— ჩვენ გვარიგებდა ჰკუას და თვითონ
კი დაუკარგავს...

მოისმოდა იქით-აქედან. მაგრამ არავინ
ხელს არ ანძრედა, არავინ დახმარების გა-
წევას არ ფიქრობდა.

— ხალხნო! რას გაჩერებულხართ, ვერა
ხედავთ, ვილუბები. მიშველეთ, წყალი დო-
ქებით, ქვებით, კასრებით, ვისაც რა მოგე-
პოვებათ. ნუ თუ არ გებრალეხათ ერთადერ-
თი თქვენი ხახამი? — გაჰკიოდა თმებგაშლი-
ლი, გიჟს დამსგავსებული ხახამი და აწყდე-
ბოდა აქეთ-იქით.

ხალხიდან არავინ არ იძროდა.
იმედგაცრუებულმა და სასოწარკვეთილმა
ხახამმა ერთხელ კიდევ მიმართა ხალხს, მაგ-
რამ, რა იქიდან ვერ მიიღო ვერავითარი პა-
სუხი, ერთი გიჟივით შეჰკივლა, თავპირში
ხელები წაიშინა, ისკუპა და თავის საცხოვ-
რებელთან ერთად თვითონაც გაეხვია ცეცხ-
ლის მორევში...

მართალია, ყოველივე ეს სიზმარში ნახა
ელუაშვილმა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ
მსგავსი რამ სინამდვილეშიც განმეორდეს?!

აი, რა აზრი აწუხებს ხახამ ელუაშვილს.
ნათქვამია: „ნამუსიც კაი საქონელიაო“.

და ასეთი ნამუსის კაცი რომ მაინც იყვეს
ჩვენი ხახამი, მეტი რაღა გვინდოდა. მაშინ,
იმას რომ აზრი აწუხებს, იგი სინდისის ქეჯ-
ნა იქნებოდა და არა ბოროტი აზრი. იმისი
ბოროტი აზრი კი სულ სხვას ეუბნება მას.
ის ფიქრობს: ნეტავი მთელი ქვეყანაც გადა-
იწვებოდეს, გადაიბუგებოდეს, ნაცარ-ტუტად
იქცეოდეს, ოღონდ მის სარჩო-საბადებელს კი
ყოველნაირად ერთი ან ორი ქათმის დასაკ-
ლავი ქრთამი მაინც არ გამოეღიოს და...

აი, ელუაშვილის დარდი!

საკითხავია მხოლოდ ის, თუ რა დარდი
აწუხებს ადგილობრივ „მუკის“ ორგანიზა-
ციას. თუ ის არავითარ დარდსაც არა გრძ-
ნობს, ის არა გრძნობს საერთოდ არაფერს,
რადგან მას რომ გულზე მძიმედ აწევს, იგი
უკვე საფლავის ლოღია?!

თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რა გვეთქმის
ასეთი ორგანიზაციის წინააღმდეგ, გარდა კე-
თილი მოხსენიებისა: „ცოცხალი იყავ, მკე-
დარს ჰგავდი, მოკვდი, რა ჩვენი ბრალია?!“

მაგრამ ვი თუ მკვდარი არ იყვეს აღნიშ-
ნული ორგანიზაცია და ელუაშვილივით რა-
იმე სიზმრის გავლენის ქვეშ იყოს გარინდე-
ბული?

მაგრი.

...და გზა უვადი თქვენგან თელინი,
დიპლომატად, მაინც დაჩეხა...




ნახ. გ. ისაევსა და მ. ლებეშვიცის.



... ინგლისის დიპლომატიის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის გზა.

ბრილვასაქრავი ამბები



სახლში დაბრძანდა.

(ზოვრეთი, ზესტაფონის რ.)

ბრივადირად გვყავს ზოვრეთში
ვარდოსანიძე ბორია,
დამკვრელი ბიჭი მისთანა
არ მოიძევა ორია.



სოფლად თესვის დროს ბორიამ
გმირობა გამოიჩინა:
სახლში დაბრძანდა, ვადაპკრა
ღვინო — თვრამეტი ჭინჭილა.

კიო.

აბაზს ვალს ადებს

(ხარაგოული)

ხარაგოულის სადგურში
ტალახაძეა მოლარე,
თუმც არ სესხულობს ფულს, განსლავთ
ის ყველა მგზავრის მოვალე.



მის უიღბლობის შესახებ
ჰლაღადებს მთელი მილეთი,
აბაზს „ვალს“ ადებს უბედურს
თითო მგზავრი და ბილეთი.

ხოვე

სასაცილო! — სასადილო!

(ჭალადილი)

„საქვაჭობამ“ ჭალადილში
ავვიშენა სასადილო,
ასადილო ვასართობი,
საოხუნჯო, სასაცილო.



სახურავში წვიმა ატანს,
შხაპა-შხუპით მოსჩქეფს ქვევით,
პირველს — ბორშის ვჭამთ, მეორედაც
„წვნიან“ კატლეტს შევქეცევით.

ფუსე

ღონეუანი კოსტა

(ქვემო ჭალადილი)

ჭალადილში ღონეუანობს
ვინმე კოსტა გვასალია,
ცოლის შერთვა და გაშვება
ემარჯვება მას ძალიან.



მხოლოდ ოც ცოლს გაეყარა,
გადეკიდა ახლა შურას,
და სწუხს კოსტა ღონეუანი
გეგმა რომ ვერ შეასრულა.

სეფუ

მტრის ჯინაზე

(ჭიათურა)

სასადილოს გამგე ვახლავთ
მოჩხუბარი კვიჩინაძე,
ჩიტის რძესაც აღარ იკლებს
სცნობრობს „ბიჭი“ მტრის ჯინაზე



სამ თუმნიან ინდოურებს
ას მანეთად „აპრადალეებს“
ცემა-ტყევის ოსტატია
კახურ ღვინოს როცა დაღვეს.

კუჭი.

სამკითხველს მოთქმა

(ღესიჭინე, ჩხორიწყუის რ.)

ის აღარ არის რაც იყო
გამოიცვალა „ვიდია“...
და კარზე უშველებელი
ცხრა კილო, კლიტე ჰკილია.




რაც ჰქონდა: წიგნი, ჟურნალი,
გაზეთები და სხვებია,
საზამთროდ მოიმარაგეს —
თაგვები იკვებებიან. გ. ღესიჭინელი.

შაუმიანის ქ. № 44 მდებარე კომუნალური სახლი დაზარდა მისთვის ხოლო საბჭო მის შეკეთებაზე არ ზრუნავს.

ქვეყნის
გეგმვის



— არიქა მეზობლებო! აუქშიეთ მაგ კირის გასაწყვეტ ყვავს, თორემ თუ სახურავზე დაჯდა, სახლი თავზე დაგვენგრევა.



გიორგი სელივანოვი,
ყასაბი გურჯაანისა,
დახურულ ბაზარში არის
გამწყალბებლად ჯანისა.

ეს ასე არის და მინც
ჩვენ ერთი რამე გვაკვირვებს:
ნუ თუ საბჭოთა კონტროლი
აქ საქმეს განგებ აჭირვებს?

მისთვის საბჭოთა ვაჭრობა
ფირმაა, თავშესაფარი,
ის რომ ძველ ხმაზე ღიღინებს,
არ შეუხაროთ უაფარო...

იმას საბჭოთა ვაჭრობა
ძველი ყასაბობა ჰგონია,
სჩანს, ესიზმრება ახლაც კი,
უწინ რომ დახლი ჰქონია.

დახარისხება ხორცისა,
დანიხვრაც შესაფერადა,
მისთვის უცნობი ხილია,
უცქერის აღმაცერადა.

პირველ ხარისხის ხორცზე რომ
ყბის ძვალაც ერთს დაუწონა,
ხამად დასახა მუშტარი,
გავაცურებო, ეგონა.

შემოუტია მუშტარმა,
დაუგმო ნამოქმედარი,
მაგრამ არ შედრკა ყასაბიც,
აქუხდა, ვითა მხედარი:

„არ გინდა. „ჩაიარეო“.
„აუქშიეო“, „წადიო“...
შენ თუ ხაშლამა გჭირდება,
არცა ჩვენ გვაწყენს მწვადიო.



კაი ლოქოა გეურქა,
სელივანოვი გვარადა,
გურჯაანს კოლექტივია,
ეგ ქალაქს ბაზრის კარადა.

სამხარისხიან ხორც ჰყიდის,
თვით „ახარისხებს“ ერთადა:
ოთხ-შვიდ-და ათმანეთიანს
ჰყიდის სულ ათმანეთადა...

— დესიტ რუბლეი მისო,
მირონსკი გავედინაო,
ხორცი თქვენ, ხოლო ქაფი მე,
თუ კი რამ გავედინაო...

მუშტარი.

ცხელ-ცხელი ამბები

კულტომისასურობა

ახალციხე. ადგილობრივ კლუბში გამართულ 8 მარტის საზეიმო სხდომაზე დამსწრეთაგან კლუბის კარგი მომსახურების მიზნით მხოლოდ ექვს კაცსა და ქალს დაეკარგათ კალოშები.

კალაი

„უნივერსალურობა“

ძირულა. (ზესტაფონის რაიონი) ძირულის უნივერსალური მაღაზიის ნოქრებმა გ. და ბ. გველესიანებმა თავის ძმაბიჭებს და ნათესავ-ნაცნობ-მეგობრებს ასეთი მიმართვები დაუგზავნეს: „გველესიანებმა ხვალ 25 მარტს ღამის სრულ 12 საათზე გამოცხადდეთ მაღაზიაში სხვადასხვა შალეულ-ფართლეულის და ფენსაცმელ-კალოშ-ტყავეულის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში საქონელი მომხმარებლებზე გაიყიდება და დარჩებით პირში ჩალაგამოვლებული“.

ფარშევანგი

სიცხიან ავადმყოფთა საყურადღებოთ

ხაშური. ვინაიდან რკ. გზ. ამბულატორიაში სიცივე 25 გრადუსამდე ავიდა, ამიტომ ადმინისტრაციამ გადასწყვიტა გასასინჯათ შიილოს მხოლოდ ის ავადმყოფები, რომლებმაც სიცხე ექნებათ არა ნაკლებ 40 გრადუსისა.

ზორე დორე

აღმოჩენა

ნინგკორმა კეცხოველის ქ. № 16-ში აღმოაჩინა იშვიათი „ოჯახური სასადილო“, სადაც სადილის კერძებში სწარმოებს ცურვის შესწავლა. წვრთნის მთავარ მსაჯად მოწვეულია ოჯახური სასადილოს გამგე. კერძში მცურავის დახრობის შემთხვევაში სასადილოს დირექტორი პასუხს არ აგებს.

კოლხიდელი

მიღწევა


წუხელ ვერის ახალ აბანოში ცხელი მდულარისაგან თუთხმეტ კაცზე მეტი არ დაფუფქულა, რაც აღნიშნულ აბანოს გეგმის წარმატებით შესრულებას უნდა მივაწეროთ.

არქიფო

იზვიათი ღღე

ჭიათურა. გუშინ ქალაქის ამბულატორიაში თერთმეტ კაცზე მეტი არ გამოცხადებულა სამკურნალოდ (ისიც სარეწაო არტელის პარკმახერ ხ. კაპანაძის მიერ დაჭრილ-დასახიჩრებულნი).

ყაყიტა



თბ. გლეხთა ცენტ. სახლის სსსადილოში მომზადებული მემკვიდრეობის მინისტრის დაფინანსებით.

ნახ. ღონისა.

ინგლისში ბოქსი პირველი სპორტია... არც ჩვენში აქცევენ ნაკლებ ყურადღებას... საქართველომ ამ საქმეში საკავშირო შეჯიბრში პირველობა მიიღო... ერთ გამოსასვლელ დღეს თბილისში, გამოაცხადეს, რომ: დინამოს სპორტდარბაზში შესდგება ბოქსის ოსტატთა შეჯიბრიო. აწრიალდა დიდი, პატარა, შეიქნა სირბილი ბილეთებზე, ამას აქვს — იმას არა, ეს შოულობს ნაცნობობით — ის არა. ვაეიმარჯვე, მიშოვენს ფეხზე დასადგომი ბილეთი ქანდარაზე...

მოუთმენლად ელოდა ყველა გამოცხადებულ დღეს. მთელი ქალაქი მიასკდა სპორტდარბაზს... საესეა ტრანსპორტი, ქუჩები ვერ იტევს ხალხს, წესრიგს ვერ იცავს ფეხოსანი და ცხენოსანი მილიცია... როგორც იქნა მოწნახე ჩემი ადგილი. ამას დიდი ბრძოლა და გაძრომ-გამოდრომა დასჭირდა... დაჰკრა ნალარამ... აწრიალდა ხალხი — ალაპარაკდა, აქეთ ჩურჩული, იქით კორები, ცოცხალი ამბავი...

— შენ იცი ქეთო, რა დაემართა ნათელას?
— არა, ჩქარა მითხარი, თუ და ხარ!
— ქმარმა მიატოვა. უცნაური ხასიათი აქვსო. თურმე ნუ იტყვი ნიკუშასათვის თავი არ დაუნებებია, რა გაუმადლარი გამოდგა, აქაოდა მაცვალივით თვალები მაქვსო, ერთი აღარ ყოფნის...

— იმიტომაა გენაცვალე, რომ ჩავაბერდი მამაჩემს ხელში — კაროუნასავით, მე უბედურს ერთი მენატრება, მაგისტანებს ორი და სამი არ ყოფნის.

— მაგათია ქვეყანა, ცაი ქუდათ არ ყოფნით და მიწა ქალამნად... გაისმის მსაჯის მეორე ნიშანი... ესეც შენი ბოქსიორები. ჩამოსხმული ტანი, მშვენიერი სახე, თვალი უკეთეს არ ინატრებს. ჩამოვარდა სიჩუმე. წამი და მივარდნენ ერთიმეორეს, შეიქნა ცემა-ტყევა, პირდაპირ სახეში...

ჩემს გვერდით ვიღაც ჩასუქებული მოქალაქე იდგა. ძლიერ ღელავდა და მოუთმენლობა ეტყობოდა, ბოლოს მორთო ყვირილი:

— აი, თქვენ კი გენაცვალეთ ბიჭებო. მასე ო. მიდი, მაგრად მიარტყი, სახეში, არ ააცდინო, ყბაში — კბილებში...

ყველა შეგვაწუხა ამ ყმაწვილის მოუსვენრობამ, ველარ მოვითმინე და შევეკითხე:

— რაშია საქმე ყმაწვილო. დავანახეთ, რას ხტუნავთ.

ის მაინც განაგრძობდა: „რა დროს დამშვიდება, მადროვეთ, ხელს ნუ მიშლით... შიდი, გენაცვალე მკლავებში, მაგრად მიარტყი, ჩაუღეწე და ჩაუმტვრიე კბილები. მასე ო“...

— მოქალაქეე. — ვეკითხები მე, — თქვენ რა მაგათ რომ ერთიმეორეს კბილები ჩაუმტვრიონ.

— როგორ — თუ რა. მე კბილის ექიმი ვარ.

აი, თურმე რისთვის ღელავდა...



— ეს კაცი ჩვენი მუღმივი მუშტარი გახდა, ყოველ დღე აქ დადის...
— რას ამბობ, გუშინწინ მოვიდა, სუფს უცდის!

ამხ. ნიანგო!

თქვენს მიერ გამოყოფილმა, სამეცნიერო ექსპედიციამ სტუდ. ქალაქის კლუბში აწარმოვა არქეოლოგიური გათხრები. აღმოჩენილია შესანიშნავი ექსპონატები. მათ შორის მოიპოვება რამდენიმე ნაჭერი კინო-ლენტებისა. სიძველისა გამო შეუძლებელი გახდა გამოცნობა, რომელ ფილმს ეკუთვნის ეს ნაგლეჯები. მაგრამ ფაქტი კი უდავოა, რომ ექსპონატები ეკუთვნიან მეოცე საუკუნეს,

ნათლად სჩანს, რომ აქ ოდესღაც ყოფილა კინო, რომელიც ალბათ სტუდენტთა კულტომოსახურებას ეწეოდა. აღმოჩენილია აგრეთვე თავის ქალა გაქვავებული რომელიც სტუდენტთა აზრით ერთერთ „გამგებელთაგანს ამა მიდამოსა“ — ეკუთვნის; ეს აღმოჩენა საჭიროებს მეცნიერულ გამოკვლევებს. ამხ. ნიანგო, გთხოვთ უახლოეს ხანში ამ ქალას თავისი ადგილი მოუნახოთ...
პ — ნა.



ვ. ისაევია

ოჯახის „ბურჯი“: (კომენდანტს) — რა დროს საბინაო დავთარში ჩაწერაა, თუ ძმა ხარ გამზორდი, ოჯახურ მეუღროებს ნუ მირღვივ.

პ./მგ. რედაქტორის მოვალეობის აღმასრულებელი: ს. ზაჩიჩილაძე. რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5. ტირაჟი 12000.